

ელაპარაკით ბავშვს! ელაპარაკით სწორად, ყველგან და ყველთვის!

ბავშვის განათლებაში მშობლის ჩართვის შედეგად:

მშობელი

- ✓ უკეთესად უგებს შვილს, ნაკლებად მკაცრია მის მიმართ და უფრო მეტად აფასებს ბავშვის მიღწევებს;
- ✓ მეტ ყურადღებას უთმობს, თუ რა სჭირდება ბავშვს სოციალური, ემოციური და ინტელექტუალური განვითარებისათვის;
- ✓ მოიძიებს და იყენებს მრავალფეროვან რესურსს შვილის სწავლისა და განვითარებისათვის;
- ✓ საშუალებას აძლევს ბავშვს, თამამად გამოთქვას თავისი პრობლემები და შეხედულებები;
- ✓ ფლობს ინფორმაციას ბავშვის მდგომარეობის შესახებ და დროულად იღებს ზომებს მისი პრობლემების მოსაგვარებლად;
- ✓ უფრო ადვილად თანამშრომლობს მასწავლებლებთან;
- ✓ მეტ ყურადღებას უთმობს საკუთარ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს;
- ✓ სიამოვნებით ერთვება ბავშვის აღზრდაში და თავდაჯერებულად იღებს გადაწყვეტილებებს.



მშობელთა ჩართულობა

მშობლისა და მასწავლებლის პარტნიორობა ეხმარება ბავშვს სწავლასა და განვითარებაში.

ბავშვის განათლებაში მშობლის ჩართვის შედეგად:

მოსწავლე

- ✓ აუმჯობესებს აკადემიურ მოსწრებას, წარმატებით ამთავრებს სკოლას და სწავლის გაგრძელების უკეთესი შესაძლებლობები უჩნდება;
- ✓ იღებს უკეთეს შედეგებს გამოცდებში და ტესტებში;
- ✓ ივითარებს სოციალურ უნარებს. კარგ ურთიერთობას ამყარებს როგორც მასწავლებლებთან, ასევე ოჯახის წევრებთან;
- ✓ პოზიტიურად იქცევა როგორც სახლში, ასევე სკოლაში;
- ✓ დადებითად არის განწყობილი სკოლის მიმართ და ემატება თავდაჯერებულობა.



შევაყვაროთ შვილებს კითხვა



წიგნიერება არის მრავალფეროვანი ტექსტების წაკითხვის, შექმნისა და გადამუშავების უნარი. წიგნიერება ეფექტური კომუნიკაციისა და სამყაროს გაცნობიერების ერთ-ერთი მთავარი იარაღია.

რატომ არის წიგნიერება მნიშვნელოვანი?

წიგნიერება ის ფუნდამენტური უნარია, რომელიც განაპირობებს ბავშვის წარმატებას სწავლასა და ყოველდღიურ ცხოვრებაში. წიგნიერება საშუალებას გვაძლევს, გავიგოთ წერილობითი, ვიზუალური და ზეპირი ტექსტები, რომლებიც ყველგან გვხვდება: წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებში, ვიდეოფილმებსა და სატელევიზიო გადაცემებში, საგზაო ნიშნებსა და რუკებზე, სარეკლამო დაფებსა და აფიშებზე...

როგორ შევუწყოთ ხელი ბავშვის წიგნიერების განვითარებას?

კვლევების მიხედვით, როცა მშობლები და აღმზრდელები აქტიურად ზრუნავენ ბავშვის წიგნიერებაზე, მისი მოტივაცია და მიღწევები ყველა საგანში საგრძნობლად უმჯობესდება. არსებობს ბევრი ყოველდღიური აქტივობა, რომლებიც მნიშვნელოვნად წახალისებს ბავშვის წიგნიერებას. აი, რამდენიმე რჩევა პატარების დასახმარებლად:

- **წაუკითხეთ, წაუკითხეთ, წაუკითხეთ!** წაუკითხეთ ბავშვს საინტერესო, ასაკისათვის შესაფერისი წიგნები. პერიოდულად მოასმენინეთ აუდიონიგნები. აღმოჩნდა, რომ სკოლასა და უნივერსიტეტში ყველაზე დიდ წარმატებებს სწორედ ის ბავშვები აღწევენ, რომელთაც ოჯახში წიგნებს უკითხავდნენ. დროებით გადადეთ ის წიგნი, რომლის მიმართაც ბავშვმა ინტერესი არ გამოხატა (თუნდაც თქვენ ის ძალიან მოგწონდეთ).
- **ელაპარაკეთ ბავშვს! ელაპარაკეთ ხშირად, ყველგან და ყველაფერზე!** კვლევები ადასტურებს, რომ სწორედ ამ გზით აგროვებს ბავშვი ათასობით სიტყვას, რომელთა გარეშეც გაუჭირდება წარმატების მიღწევა ნებისმიერ სფეროში. ისაუბრეთ ბავშვთან ახალი, საინტერესო, უჩვეულო სიტყვებისა და გამოწვევების შესახებ. სცადეთ შენიშნოთ ეს სიტყვები და ფრაზები ტექსტებსა და ლექსიკონებში.

- **ასწავლეთ კითხვა!** დაიწყეთ კითხვის სწავლება რაც შეიძლება ადრე. არც ერთი მეცნიერული კვლევა არ ადასტურებს იმას, რომ კითხვის ადრეულ ასაკში სწავლა საზიანოა ბავშვისთვის. ასწავლეთ კითხვა ყველგან: შინ, ქუჩაში, მაღაზიაში, ქალაქგარეთ. გამოიყენეთ კითხვის სასწავლებლად სათამაშოები, გარემოში არსებული ნივთები, ბავშვის ასაკისა და ინტერესების შესაბამისი წიგნები, თვალსაჩინოებები. მოიძიეთ სახალისო აქტივობები ინტერნეტსა და ჟურნალ-გაზეთებში. არ შეაფერხოთ ეს პროცესი იძულებითი „მეცადინეობით“ და დამლელი სავარჯიშოებით.
- **ითამაშეთ ბგერებით!** აღმოჩნდა, რომ ბგერების ცოდნა აუცილებელია კითხვის სწავლისთვის. ბავშვს ესმის სიტყვა „ბურთი“, მაგრამ ვერ აცნობიერებს, რომ ის შედგება ხუთი ბგერისგან (ბ - უ - რ - თ - ი). „შეეჯიბრეთ“ ერთმანეთს ბგერებით თამაშში (მაგ., რომელია სიტყვის პირველი ბგერა? ბოლო ბგერა? მესამე ბგერა? რამდენი ბგერაა სიტყვაში? დაშალე სიტყვა ბგერებად, შეცვალე სიტყვის პირველი ბგერა და სხვ.) თანდათანობით გადადით ისეთ თამაშებზეც, რომლებშიც ასო-ბგერებთან, სიტყვებთან და ტექსტებთან ურთიერთობა მოუწევს.
- **მოაყოლეთ და მოუსმინეთ!** ასაუბრეთ ბავშვი საყვარელი ნივთების, მისთვის მნიშვნელოვანი ამბების, წაკითხული წიგნების შესახებ. მიეცით შთაბეჭდილებების გაზიარების საშუალება, გამოხატეთ ინტერესი და ნუ გადაერთვებით სხვა რამეზე, როცა ის გესაუბრებათ.
- **წაკითხეთ და დაუსვით შეკითხვები!** წახალისეთ ბავშვი, რათა იკითხოთ მრავალფეროვანი ტექსტები: გაზეთები, წიგნები, კომიქსები, ვებგვერდები, ელექტრონული წერილები, აბრები და აფიშები, ინსტრუქციები და მენიუები. ჰკითხეთ, რის შესახებ წაკითხა, რა მოეწონა, რომელი ადგილი დაამახსოვრდა და ა.შ. შეკითხვების დასმით დიდ დახმარებას გაუწევთ წაკითხულის გააზრებასა და დამახსოვრებაში. დააფასეთ ბავშვის „წიგნიერი“ მცდელობები. შეაქეთ, როცა კითხულობს.
- **უჩვენეთ, რომ თქვენც მკითხველი ხართ!** სასურველია, რომ ბავშვმა რაც შეიძლება ხშირად დაინახოს, როგორ კითხულობენ უფროსები ოჯახში. მოუყევით ბავშვს იმის შესახებ, რაც ბოლო დროს წაკითხეთ, რაც თქვენთვის საინტერესო და სასარგებლო აღმოჩნდა. ხშირად გაუზიარეთ შთაბეჭდილებები. ისაუბრეთ საყვარელი საბავშვო მწერლების, კინორეჟისორების, მხატვარ-ილუსტრატორების შესახებ. უთხარით, რატომ მოგწონთ ესა თუ ის მათგანი.
- **წახალისეთ წერა!** სთხოვეთ ბავშვს, რათა წეროს სხვადასხვა ტიპის ტექსტები (მოსაწვევი, საყიდლების სია, ინსტრუქცია, ბარათი, სატელეფონო მესიჯი და სხვ.) როგორც ხელნაწერის სახით, ისე ელექტრონულად. ინტერესით წაკითხეთ მისი ნაწერი და შეაქეთ. მოერიდეთ შეცდომების გასწორებას.
- **გადააქციეთ კითხვა ყოველდღიურ რიტუალად!** გამოყავით კითხვისთვის კონკრეტული დრო და ადგილი. ბავშვთან ერთად მოაწყვეთ „პატარა სამკითხველო“. მიეცით თავისუფლება წიგნების არჩევანში. ამ ყველაფრის შედეგად კითხვა ბავშვისთვის სასიამოვნო რუტინად გადაიქცევა. ■

მათემატიკა

გქონდეს მათემატიკური აზროვნების უნარი, ნიშნავს ეფექტურად გამოიყენო მათემატიკა ყოველდღიურ ცხოვრებაში.

რატომ არის მათემატიკური აზროვნება მნიშვნელოვანი?

მათემატიკური აზროვნება გაძლევს შესაძლებლობას განავითარო ლოგიკური აზროვნება და მსჯელობის სტრატეგიები ყოველდღიურ ცხოვრებაში. ჩვენ გვჭირდება მათემატიკური აზროვნება პრობლემების გადასაჭრელად და იმისთვის, რომ მივხვდეთ დროს, რაოდენობებს, კანონზომიერებებს და აღვიქვათ სივრცე. უცნაურია, მაგრამ მათემატიკური აზროვნება გვეხმარება, ასევე, ისეთი აქტივობების შესრულებაში, როგორცაა საჭმლის კეთება, რუკებისა და ქვითრების კითხვა, ინსტრუქციების გაცნობა და თავად სპორტიც კი.

როგორ შევუწყოთ ხელი ბავშვის მათემატიკური აზროვნების განვითარებას?

კვლევამ აჩვენა, რომ ბავშვების მოტივაცია იზრდება და მიღწევები უმჯობესდება, როცა მშობლები ან აღმზრდელები ჩართულნი არიან განათლების პროცესში.

ყოველდღიურ ცხოვრებაში მათემატიკური აზროვნების განვითარების ხელშეწყობისათვის ბევრი რამის გაკეთებაა შესაძლებელი.

წარმოგიდგინთ რამდენიმე რეკომენდაციას:

- ხელი შეუწყვეთ თქვენს შვილს გამოიყენოს მათემატიკური ენა: „რამდენად ბევრი“, „რამდენად დიდი“, „რამდენად პატარა“, „რამდენით მეტი“ და ა. შ.;
- განიხილეთ რიცხვების, კანონზომიერების და ფორმების გამოყენება ყოველდღიურ ცხოვრებაში - იპოვეთ რიცხვები წიგნებში, სივრცული მოდელები ან ფორმები სათამაშო მოედანზე, სახლში ან არქიტექტურაში;
- ისაუბრეთ ბავშვს, როგორ იყენებთ მათემატიკას ყოველდღიურ ცხოვრებაში, მაგალითად: საჭმლის მომზადების პროცესში, რუკების კითხვაში, სპორტში და ა. შ.;
- გააანალიზეთ ისეთი სიტუაციები, როცა ვიყენებთ ფულს, მაგალითად: საყიდლებზე წასვლა, ბიუჯეტის შედგენა, საბანკო ბარათების გამოყენება და სხვა;
- გამოთვალეთ, გაზომეთ და შეადარეთ სიგრძე, წონა, მოცულობა. რას უდრის თაროს სიგრძე, რამდენად მძიმეა ან მსუბუქი ესა თუ ის ნივთი და რამდენს დაიტევს ჭურჭელი;

ერთად ვისწავლოთ მათემატიკა



- ისაუბრეთ პრობლემის გადაჭრის სხვადასხვა გზაზე;
- აიღეთ სიგრძის, მასის საზომი ხელსაწყოები, რომლებსაც თქვენ ყოველდღიურად იყენებთ საოჯახო საქმიანობისას, მაგალითად: „რულეტი“, სამზარეულოს სასწორი და განიხილეთ საზომი ერთეულები;
- ამა თუ იმ სიტუაციაში ჰკითხეთ: „აქვს თუ არა ამას აზრი?“ „ეს პასუხი მისაღებია?“ ან „სხვანაირად როგორ შეგვიძლია ეს გავაკეთოთ?“;
- გამოიყენეთ ცხრილები, კალენდრები და საათები სხვადასხვა მიზნისთვის, მაგალითად: დროის პერიოდის განსაზღვრისთვის, არდადეგების დასაგეგმად და სასურველი სამარშრუტო ნომრის მქონე საზოგადოებრივი ტრანსპორტის გასაჩერებლად;
- დაეხმარეთ თქვენს შვილს გაარკვიოს რა ღირს ესა თუ ის ნივთი და გამოითვალოს თუ ეკუთვნის ხურდა;
- შესთავაზეთ ბავშვს რიცხვებით თამაში ჟურნალების, წიგნების, გაზეთებისა და ავტომობილების საწინააღმდეგო ნიშნების გამოყენებით;
- დაალაგეთ, დაახარისხეთ და დათვალეთ ნივთები, მაგალითად: სათამაშოები, წიგნები, ტანსაცმელი, ფეხსაცმელები...

